

მათემატიკის ოლიმპიადის ფინალური ტურის ტესტების მიმოხილვა

მე-5 კლასი

ტესტი შედგება 12 დავალებისგან და 4 სავარაუდო პასუხისაგან. მისი ჯამური ქულაა 50. სხვადასხვა სავარჯიშოს აქვს განსხვავებული ქულა, რომელიც დამოკიდებულია სირთულესა და ამოცანის ამოსახსნელად საჭირო დროზე. ტესტში მოცემულია ამოცანები შემდეგი გადანაწილებით:

2 ცალი	2 ქულიანი
2 ცალი	3 ქულიანი
3 ცალი	4 ქულიანი
3 ცალი	5 ქულიანი
1 ცალი	6 ქულიანი
1 ცალი	7 ქულიანი

მოსწავლემ უნდა შემოხაზოს პასუხი ლოგიკურად (ამოცანიდან გამომდინარე), ჯერ ამოხსნას ამოცანა და შემდეგ აირჩიოს სავარაუდო პასუხი, ან გამორიცხვის მეთოდით მივიდეს სწორ პასუხამდე (მოცემული პასუხებიდან გამომდინარე).

არითმეტიკა და რიცხვებზე მოქმედება

მოსწავლემ უნდა შეძლოს მარტივი არითმეტიკული მოქმედებების შესრულება (შეკრება, გამოკლება, მოქმედებათა სწორი თანმიმდევრობით).

მაგალითი: (3 ქულა) იპოვეთ გამოსახულების მნიშვნელობა: $10+2 \times 6+5:5+27-9+2 \times 11$

A) 29 B) 41 C) 63 D) 7

ლოგიკური აზროვნება და შედარება

ამოცანების ნაწილი დაკავშირებულია ტექსტის გაანალიზებასთან, მონაცემების შედარებასთან, საათისა და დღეების ცნობასთან და ა.შ

მაგალითი: (4 ქულა) ვასო არის ვატოზე 25 წლით უფროსი. რამდენჯერ უფროსი იქნება ვასო ვატოზე 20 წლის შემდეგ, თუ ის ამჟამად 6-ჯერ უფროსია მასზე?

A) 2 B) 5 C) 6 D) 25

რიცხვების მიმდევრობა და კანონზომიერება

მოსწავლემ უნდა ამოიცნოს რიცხვთა მიმდევრობაში არსებული კანონზომიერება და განსაზღვროს მომდევნო წევრი. ასეთი ტიპის დავალებები ავითარებს ლოგიკურ აზროვნებასა და კანონზომიერებების ამოცნობის უნარს.

მაგალითი: (2 ქულა) დააკვირდი მიმდევრობას და გამოიცანი შემდეგი რიცხვი: 50,45,40,35...

A) 30

B) 35

C) 40

D) 45

ვიზუალური აღქმა

მოსწავლემ უნდა შეძლოს სურათზე მოცემული გამოსახულებებიდან ობიექტების დათვლა და ამის მიხედვით შეკითხვაზე პასუხის გაცემა


მაგალითი: (5 ქულა) რა რიცხვი უნდა ეწეროს “??”-ის ნაცვლად?

A) 19

B) 63

C) 27

D) 3



გეომეტრიული ფიგურები

მოსწავლემ უნდა იცოდეს ბრტყელი გეომეტრიული ფიგურების მარტივი თვისებები (გვერდი, პერიმეტრი, ფართობი) და მათი პოვნა.

მაგალითი: (4 ქულა) მოცემულია 2 მართკუთხედი. 1-ელის გვერდებია 3 და 7, მეორესი- 8 და 1. რომელი მათგანის პერიმეტრი და ფართობია უფრო მეტი?

A) პერიმეტრი-I, ფართობი-I

B) პერიმეტრი-I, ფართობი-II

C) პერიმეტრი-II, ფართობი-I

D) პერიმეტრი-II, ფართობი-II

ნაშთიანი გაყოფა

მოსწავლეს უნდა შეეძლოს რიცხვის გაყოფის შედეგად მიღებული ნაშთის დადგენა/მისი გამოყენება სხვადასხვა სახის ამოცანაში (ძირითადად ისეთ ელემენტარულ რიცხვებზე, როგორიცაა 2,3,5). ასეთი ტიპის ამოცანები უვითარებს მოსწავლეს ანგარიშისა და დეტალებისადმი ყურადღების გამახვილების უნარს.

მაგალითი: (3 ქულა) 730-ს მიუმატეს რომელიღაც რიცხვი და მიღებული რიცხვი გაყვეს 2-ზე. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რა რიცხვი მიუმატიებიათ 730-ისთვის, თუ ნაშთი მიიღეს 1?

A) 0 B) 3 C) 4 D) 8

გისურვებთ წარმატებას და გელოდებით, 14 დეკემბერს მათემატიკის ოლიმპიადის ფინალურ ტურზე. მათემატიკის ფინალური ტურის საფასურია 29 ლარი. გადახდისათვის ეწვიეთ ბმულს: <https://kings.ge/gadaxda>